საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№68 2017 წლის 24 მარტი ქ. თბილისი

ნ. გაგუასთვის „საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (მეორე ინკლუზიური ზრდის განვითარების პოლიტიკის ღონისძიება)“ სასესხო შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით, მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ნიკოლოზ გაგუას მიენიჭოს „საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის (მეორე ინკლუზიური ზრდის განვითარების პოლიტიკის ღონისძიება)“ სასესხო შეთანხმების ტექსტის მიღების მიზნით მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება.

გიორგი კვირიკაშვილი